

თორნიკე ჩივაძე

დოქტორანტი

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

ელ-ფოსტა: tornike.chivadze@gipa.ge

გია ჟორჯოლიანი

პროფესორი

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

ელ-ფოსტა: giajorjoliani@yahoo.com

სოციალური სტრუქტურა, დემოკრატიზაციის პროცესი და ძალაუფლების საკითხი პოსტსაბჭოთა საქართველოში

აბსტრაქტი

წინამდებარე სტატია იკვლევს სოციალური სტრუქტურის, ძალაუფლების განხორციელების მექანიზმებისა და დემოკრატიზაციის პროცესის თავისებურებებს პოსტსაბჭოთა საქართველოში. ნაშრომი ამტკიცებს, რომ ქვეყნის პოლიტიკური სისტემის ქრონიკული არასტაბილურობა და დემოკრატიული ინსტიტუტების მოწყვლადობა განპირობებულია ღრმა სტრუქტურული მიზეზებით. სტატიის მიზანია დაძლიოს აკადემიურ სივრცეში დომინანტური ნორმატიული ანალიზი და დაამკვიდროს სიღრმისეული, სტრუქტურული მიდგომა პოსტსაბჭოთა პოლიტიკის კრიზისის შესასწავლად.

კვლევა ეფუძნება შედარებითი ისტორიული მეთოდის ლოგიკას და აერთიანებს დემოკრატიზაციის ისტორიულ-სტრუქტურულ თეორიას და მაიკლ მანის ძალაუფლების სოციალური წყაროების კონცეფციას. დასავლური ტრადიციული დემოკრატიზაციის გზა აღებულია, როგორც თეორიული „იდეალური ტიპი“, ანალიტიკური საზომის სახით, რათა გამოიკვეთოს საქართველოს განვითარების ტრაექტორიის სტრუქტურული განსხვავება.

ანალიზის შედეგად გამოიკვეთა „ისტორიული ინვერსია“ ქართულ დემოკრატიზაციის პროცესში, რაც მას რადიკალურად განასხვავებს დასავლური მოდელისგან. ტრადიციული ევროპული დემოკრატიზაციის გზა ხასიათდებოდა იმით, რომ სოციო-ეკონომიკური სტრუქტურირება წინ უსწრებდა და განაპირობა პოლიტიკური უფლებებისთვის ბრძოლას. საქართველოში კი პროცესი წარმართა საპირისპიროდ: დემოკრატიული უფლებების საყოველთაო

გავრცელებამ (საბჭოთა კავშირის დაშლის შედეგად) გაუსწრო შესაბამის სოციალურ-ეკონომიკურ სტრუქტურირებას. პოსტსაბჭოთა პერიოდში ადგილი ჰქონდა საზოგადოების ატომიზაციას, დეინდუსტრიალიზაციას და კლასიკური, ორგანიზაციულად ძლიერი სოციალური აქტორების არარსებობას. ამან მნიშვნელოვნად დაასუსტა დემოკრატიის სოციალური საყრდენი.

სტატია აკვირდება ძალაუფლების სოციალური წყაროების (ეკონომიკური, იდეოლოგიური, სამხედრო, პოლიტიკური) მდგომარეობას, მათ კონფიგურაციასა და დომინირებას საქართველოს ცალკეული პერიოდების მიხედვით. დემოკრატიზაციის სოციალური საფუძვლების არარსებობის პირობებში, ძალაუფლებისთვის ბრძოლა მიმდინარეობს არა მკაფიო სოციალური ინტერესების მქონე ჯგუფებს შორის, არამედ ელიტურ დაჯგუფებებს შორის. ძალაუფლების მოპოვება და შენარჩუნება ხორციელდება ძალაუფლების სხვადასხვა წყაროების მანიპულაციით, რაც ხელს უწყობს ელიტების მიერ ძალაუფლების განმეორებით კონცენტრაციას.


კვლევა ასკვნის, რომ დემოკრატიზაციის პროცესის სირთულეები და ეფექტურობის ნაკლებობა უშუალო კავშირშია ამ ისტორიულ ინვერსიასთან და ძალაუფლებრივი კონფიგურაციის თავისებურებებთან. არსებული გამოწვევების დასაძლევად აუცილებელია არა ნორმატიული მსჯელობა, არამედ პოლიტიკურ მოცემულობებზე და რეალობაზე დამყარებული სიღრმისეული ანალიზი, რაც ხელს შეუწყობს ინოვაციური და ადგილობრივი ვითარებისათვის შესაფერისი გზების ძიებას დემოკრატიზაციის პროცესის გასაძლიერებლად, რაც თავისთავად შემოქმედებითი პროცესია, რადგან დასავლეთისთვის ისტორიულად დამახასიათებელი გზა აქ აღარ განმეორდება.

საკვანძო სიტყვები: პოსტსაბჭოთა საქართველო, დემოკრატიზაცია, სოციალური სტრუქტურა, ძალაუფლების წყაროები (IEMP), ისტორიული ინვერსია, სოციალური ატომიზაცია, დესპოტური და ინფრასტრუქტურული ძალაუფლება.

შესავალი

თანამედროვე დემოკრატია ნდობის გლობალურ კრიზისს განიცდის. ტრადიციული პოლიტიკური პარტიების ეროზია, ნეოლიბერალური პოლიტიკის შედეგად სოციალური უთანასწორობის ზრდა და მმართველ ელიტებსა და დემოსს შორის კავშირის რღვევა გლობალური ფენომენია, რომელიც პოპულისტური და ავტორიტარული ტენდენციებისთვის ნოყიერ ნიადაგს ქმნის (Mair, 2013; Offe, 2011; Piketty, 2014; Rosanvallon, 2008). მიუხედავად იმისა, რომ ეს ტენდენციები გლობალურია, ისინი განსაკუთრებული სიმწვავეთ ვლინდება პოსტსაბჭოთა ქვეყნებში, მათ შორის საქართველოში, სადაც ზოგად გამოწვევებს უნიკალური ისტორიული და სტრუქტურული სპეციფიკა ემატება (Zhorzholiani, 2022).

პოსტსაბჭოთა საქართველოს პოლიტიკური ისტორიის სამი ათწლეული მერყევი და კრიზისებით დატვირთული ტრანექტორიის ილუსტრაციაა (იხ. ფიგურა 1). ამ ქრონიკული არასტაბილურობის ახსნა ხშირად ზედაპირულია და ფოკუსირდება ცალკეულ მოვლენებზე. ჩვენ ვამტკიცებთ, რომ ეს ფაქტორები კრიზისის შედეგია და არა მისი ფუნდამენტური მიზეზი. რიუშემაიერი, სტეფენსი და სტეფენსი (Rueschemeyer et al., 1992) აღნიშნავენ: “მეოცე საუკუნეში დემოკრატიულმა იდეალმა მთელ მსოფლიოში გაიმარჯვა. ცხადია, ეს უმეტესწილად რიტორიკული ტრიუმფია... ამის გამო, დემოკრატიული ინსტიტუტები შესაძლოა დაინერგოს, რათა რეჟიმმა როგორც ქვეყნის შიგნით, ისე მის გარეთ გარკვეული ლეგიტიმაცია მოიპოვოს; ამავე პროცესმა გაართულა საარჩევნო უფლებების აშკარა შეზღუდვა კლასობრივი, რასობრივი თუ გენდერული ნიშნით. თუმცა, როდესაც დემოკრატიული ინსტიტუტები ეყრდნობა სწორედ ასეთ საფუძვლებს და არა წინათ გარიყული კლასების მოთხოვნასა და ძალას, ისინი ავტორიტარული უკუსვლის მიმართ მეტად მოწყვლადნი ხდებიან. დიდი ალბათობით, ისინი მხოლოდ ფორმალურ ატრიბუტებად რჩებიან და ექვემდებარებიან ისეთი ძალების დომინანტურ გავლენას, როგორცაა სამხედროები, ბიუროკრატია ან ჰეგემონური პარტია”. ეს მოსაზრება ერთგვარ პროგნოზად შეგვიძლია წარმოვიდგინოთ, რომელიც მნიშვნელოვნად ხსნის პოსტსაბჭოთა ქვეყნებში დემოკრატიის ტრანექტორიას.



ფიგურა 1. საქართველოს მაჩვენებლები დემოკრატიის კომპოზიტიური ინდექსების მიხედვით. წყარო <https://www.v-dem.net/>

როგორც ფიგურა 1-ზე ნაჩვენებია, საქართველოს დემოკრატიის ხარისხის მაჩვენებელი მუდმივად განიცდის ფლუქტუაციებს და ვერ აღწევს სტაბილიზაციას. ეს ტრაექტორია მიუთითებს იმაზე, რომ ქართული პოლიტიკური სისტემა არის მაღალი ავტორიტარული მოწყვლადობის ქვეშ და ინსტიტუტები რჩებიან ფორმალურ ატრიბუტებად. ჩვენი სტატია შეეცდება სწორედ ამ ემპირიულად ხილული ტენდენციების ახსნას.

კვლევის მიზანი, კითხვები და მეთოდოლოგია

თეორიული განზოგადების დონეზე, დასავლეთის გამოცდილება მოწმობს კლასიკურ, თანმიმდევრულ პროცესს: კაპიტალისტურმა ეკონომიკურმა ცვლილებებმა თანდათანობით წარმოშვა ორგანიზაციული სიძლიერის მქონე სოციალური კლასები; სწორედ ამ აქტორებს შორის არსებულმა შიდა კონფლიქტმა და ბრძოლამ მისცა დემოკრატიზაციის პროცესს ბიძგი და განაპირობა პოლიტიკური უფლებების ეტაპობრივი მოპოვება, რამაც დემოკრატიას სოციალური და წარმომადგენლობითი შინაარსი მიანიჭა. ამის სრულიად საპირისპიროდ პოსტსაბჭოთა საქართველოში პროცესი შებრუნებული გზით წარიმართა: პოლიტიკური უფლებების მინიჭებამ წინ გაუსწრო სოციო-ეკონომიკურ

ცვლილებებსა და შესაბამის სოციალურ სტრუქტურირებას. გარდამავალი პერიოდით გამოწვეულმა სოციალური სტრუქტურის დეზინტეგრაციამ და საზოგადოებრივ ატომიზაციამ, დემოკრატიზაციის პროცესს სოციალური საყრდენები მნიშვნელოვნად დაუსუსტა. ამ ერთგვარდმა, “ისტორიულმა ინვერსიამ¹” რთული გახადა რეალობის მოხელთება - ერთის მხრივ მოცემული გვექონდა დემოკრატიისადმი ფართოდ გაზიარებული მისწრაფება, დასავლურის მსგავსი ინსტიტუციების და კანონმდებლობის ფორმირება, ხოლო მეორეს მხრივ მისი ეფექტური განხორციელების ფაქტორების დეფიციტი და აქტორების სისუსტე.

ჩვენი კვლევა მოწოდებულია, ნაბიჯები გადადგას ამ ბუნდოვანების გაქრობისკენ და დაამკვიდროს ახალი, სიღმისეული სტრუქტურული მიდგომა პოსტსაბჭოთა პოლიტიკის კრიზისის შესასწავლად. ნაშრომი ეწინააღმდეგება აკადემიურ სივრცეში ფართოდ გავრცელებულ პროცესების ნორმატიული ანალიზის დომინანტურ ტენდენციას და მიზნად ისახავს აჩვენოს, რომ დემოკრატიის ტრაექტორიის შესწავლისათვის აუცილებელია დავაკვირდეთ სოციალურ სტრუქტურას და ძალაუფლების სოციალურ წყაროებს.

ჩვენი კვლევა ეფუძნება სამეცნიერო რეალიზმის ფილოსოფიას. ამ პოზიციის თანახმად, „საზოგადოება და სტრუქტურული ძალები არ არის მხოლოდ ინდივიდების ქმედებების ჯამი. ის შეიძლება შეიცავდეს უხილავ ელემენტებს, როგორცაა სოციალური სტრუქტურები, კაპიტალიზმი და მთლიანი საზოგადოება. ეს ელემენტები წარმოქმნის დაკვირვებად შედეგებს“ (Halperin & Heath, 2020, p. 41). ამ თვალსაზრისით, ჩვენი ანალიზი განსხვავდება იმ მიდგომებისგან, რომლებიც სოციალური ფენომენის ახსნას მხოლოდ ინდივიდების, აქტორების ქცევებზე დაყვანით ცდილობს. მივიჩნევთ, რომ დემოკრატიული ინსტიტუტების დისფუნქცია სწორედ ამ ღრმა, უხილავი სოციალურ-სტრუქტურული დინამიკის შედეგია და,

¹ ცნებას „ისტორიული ინვერსია“ წინამდებარე ნაშრომში ვიყენებთ არა ნორმატიული, არამედ ანალიტიკური მნიშვნელობით. კლასიკური დასავლური მოდელი აქ განიხილება არა როგორც განვითარების უნივერსალური სტანდარტი, რომლისგან „გადახრაც“ ანომალიას წარმოადგენს, არამედ როგორც საშუალება კონტრასტის საჩვენებლად. ეს მეთოდი საშუალებას გვაძლევს დავინახოთ, რომ მიუხედავად იმისა, რომ ორივე შემთხვევაში საქმე გვაქვს დემოკრატიზაციასა და კაპიტალიზმზე გადასვლასთან, „ინვერსიის“ ცნება ხსნის, თუ რატომ ვერ მიგვიყვანა ანალოგიურმა განცხადებულმა (დემოკრატია, ბაზარი) ანალოგიურ შედეგებამდე; ამის მიზეზი არა „არასწორი განვითარება“, არამედ იმ პროცესების რადიკალურად განსხვავებული ქრონოლოგიური და სტრუქტურული თანმიმდევრობაა, რომელმაც საქართველოში სრულიად სხვაგვარი პოლიტიკური შედეგი წარმოშვა

შესაბამისად, დაკვირვებადი პოლიტიკური მოვლენები აიხსნება ღრმა, დაუკვირვებადი სტრუქტურული მექანიზმებით.

კვლევა აერთიანებს დემოკრატიზაციის ისტორიულ-სტრუქტურულ თეორიას (Moore, 1966) და მაიკლ მანის (Mann, 2012) ძალაუფლების სოციალური წყაროების კონცეფციას. ეს ორმაგი ჩარჩო საშუალებას იძლევა, ერთდროულად გაანალიზდეს როგორც დასავლური დემოკრატიისათვის დამახასიათებელი სოციალური აქტორების მდგომარეობის (არსებობის, ან სპეციფიური სახით არსებობის) მიზეზები, ისე ის კონკრეტული მექანიზმები, რომლებითაც პოსტსაბჭოთა ელიტები ძალაუფლებას იხვეჭდნენ და ინარჩუნებდნენ

კვლევის ძირითადი კითხვა შეიძლება ჩამოყალიბდეს შემდეგნაირად: რა სიღმისეულმა შიდა საზოგადოებრივმა მიზეზებმა განაპირობა დემოკრატიზაციის პროცესების გართულება და შეფერხება პოსტსაბჭოთა საქართველოში? რა განასხვავებს ამ დინამიკას დასავლური ტრადიციული დემოკრატიზაციის ტრანექტორიისგან?

წინამდებარე ნაშრომი აერთიანებს დემოკრატიზაციის ისტორიულ-სტრუქტურულ თეორიას (Moore, 1966) და მაიკლ მანის ძალაუფლების სოციალური წყაროების კონცეფციას (Mann, 2012). ეს ორმაგი ჩარჩო საშუალებას გვაძლევს, ერთდროულად გავანალიზოთ როგორც დემოკრატიის კლასიკური სოციალური აქტორების არარსებობის მიზეზები, ისე ის კონკრეტული მექანიზმები, რომლებითაც პოსტსაბჭოთა ელიტები ძალაუფლების მოპოვებასა და შენარჩუნებას ახერხებდნენ.

კვლევის მეთოდოლოგია ემყარება ისტორიულ-სტრუქტურულ ანალიზს და შედარებითი ისტორიული მეთოდის ლოგიკას მაღალი აბსტრაქციის დონეზე. ჩვენი მიდგომა არ გულისხმობს კონკრეტული ისტორიული შემთხვევების (მაგ. საფრანგეთის ან ინგლისის) დეტალურ და ინსტიტუციურ შედარებას საქართველოსთან; ნაცვლად ამისა, დასავლური განვითარების კლასიკური მოდელი აღებულია, როგორც თეორიული (და არა ნორმატიული) „იდეალური ტიპი“ და ანალიტიკური საზომი, რათა მკაფიოდ გამოიკვეთოს საქართველოს პოლიტიკური განვითარების სტრუქტურული განსხვავება („ისტორიული ინვერსია“) და ამ განსხვავების მიზეზები. კვლევა არ შედის მიკრო-მოვლენების დეტალურ აღწერაში, არამედ მიმართულია მაკრო-სოციოლოგიურ განზოგადებებზე და იმ ძალაუფლებრივი კონფიგურაციების იდენტიფიცირებაზე, რომლებიც საქართველოს უახლესი ისტორიის სხვადასხვა ეტაპზე დომინირებდნენ.

დემოკრატიზაციის სტრუქტურული თეორია

დემოკრატიზაციის სტრუქტურული მიდგომა უპირველესად ყურადღებას ამახვილებს ღრმა, ფუნდამენტურ სოციალურ-ეკონომიკურ და ისტორიულ ფაქტორებზე, რომლებიც გარკვეულწილად განსაზღვრავს პოლიტიკური ცვლილებების გზას. ამ თეორიული პერსპექტივის ძირითადი დასკვნები შემდეგნაირად შეიძლება ჩამოყალიბდეს:

1. დემოკრატია არ არის პროექტი, რომელიც შეიძლება წინასწარ იყოს დაგეგმილი ან ინჟინერირებული. დასავლური დემოკრატია განსაზღვრულ ურთიერთმიმართებაში საზოგადოებრივ სტრუქტურასთან და ის მეტწილად (და ისტორიულად) წარმოადგენს სოციალური კონფლიქტის შედეგს, რაც მის პირობით ხასიათზე მიუთითებს.
2. სოციალური ჯგუფები ისტორიული ფენომენებია და მათი პოლიტიკური პრეფერენციები არაა მკაცრად დეტერმინირებული და დამოკიდებულია მათ სტრუქტურულ პოზიციებზე.
3. კაპიტალიზმი და დემოკრატია არაა აუცილებლად უერთიერთ შემავსებელი და რთული ურთიერთმიმართება გააჩნიათ.

სტრუქტურული მიდგომა, მიუხედავად იმისა, რომ სტრუქტურების მნიშვნელობაზე ამახვილებს ყურადღებას, არ არის ფატალისტური: ის უფრო მეტად ხაზს უსვამს შესაძლებლობებისა და შეზღუდვების ფარგლებს (constraints and opportunities): სტრუქტურები არ განსაზღვრავენ ზუსტ შედეგს, არამედ ქმნიან იმ ფარგლებს, რომელშიც აქტორებს (ინდივიდებს, ჯგუფებს, კლასებს) შეუძლიათ იმოქმედონ საკუთარი ინტერესების რეალიზებისთვის. შესაბამისად, ანალიზის ფოკუსი გადადის არა პოლიტიკურ გადაწყვეტილებებზე ან ფორმალურ ინსტიტუციურ დიზაინზე, არამედ საზოგადოებაში ძალაუფლებისა და რესურსების რეალურ განაწილებაზე, რაც განსაზღვრავს კიდევ ამ ინსტიტუტების სიცოცხლისუნარიანობას.

ბარინგტონ მური (Moore, 1966), თავის ფუძემდებლურ ნაშრომში „დიქტატურისა და დემოკრატიის სოციალური წარმომავლობა“ (Social Origins of Dictatorship and Democracy), დემოკრატიული განვითარების ტრაექტორიას აგრარული სექტორის კომერციალიზაციის პროცესის რაგვარობაზე ამყარებს. მურის ანალიზის მიხედვით, სახელმწიფოს პოლიტიკური ბედი განისაზღვრება იმით, თუ რომელი სოციალური კლასი მოექცევა მოდერნიზაციის სათავეში და რა ალიანსებს აყალიბებს იგი.

მურის ცნობილი ფორმულა — „არ არის ბურჟუაზია, არ არის დემოკრატია“ — მიუთითებს კაპიტალისტური დემოკრატიის ფორმირების უმთავრეს წინაპირობაზე:

1. დემოკრატიული კაპიტალიზმის ტრაექტორია : დემოკრატიული მმართველობა მოითხოვს სტრუქტურულად ძლიერ და ავტონომიურ ბურჟუაზიას. ამ კლასის სიძლიერე განაპირობებს მის უნარს, დაუპირისპირდეს ძველ, ფეოდალურ-არისტოკრატიულ წესრიგს და მოახდინოს ძალაუფლების დეცენტრალიზაცია. ბურჟუაზიის დამოუკიდებელი ეკონომიკური ბაზა (აგრარული სექტორის კომერციალიზაციით მიღებული კაპიტალი) საშუალებას აძლევს მას, მოითხოვოს კანონზე დაფუძნებული, რაციონალური სახელმწიფო და პოლიტიკური თავისუფლებები. კლასიკური შემთხვევებია ინგლისი და ამერიკის შეერთებული შტატები.

2. ავტორიტარული კაპიტალიზმის ტრაექტორია (გზა): საპირისპიროდ, თუ კაპიტალისტური კლასი სუსტია და ეკონომიკურად დამოკიდებულია სახელმწიფოს ძველ ელიტებზე, ის თავს არიდებს პოლიტიკურ თავისუფლებებს. ამ შემთხვევაში, ქვედა ფენების (განსაკუთრებით გლეხობის) მღელვარებისა და რადიკალიზაციის შიში უბიძგებს მას, შევიდეს ალიანსში რეპრესიულ სახელმწიფო ბიუროკრატიასთან ან არისტოკრატიასთან. ეს კონსერვატიული კოალიცია იწვევს „რევოლუციას ზემოდან“ და ავტორიტარული რეჟიმის ჩამოყალიბებას, სადაც ეკონომიკური მოდერნიზაცია ხდება პოლიტიკური დეცენტრალიზაციის გარეშე. კლასიკური შემთხვევებია გერმანია და იაპონია.

მური ხაზს უსვამს, რომ ამგვარი ისტორიული კონფიგურაცია, სადაც ძლიერი ბურჟუაზია ანადგურებს ფეოდალიზმს და ხელს უწყობს დემოკრატიას, იშვიათი გამონაკლისია მსოფლიო ისტორიაში. ამიტომ, იგი ასკვნის: „გზა, რომელიც კაპიტალისტური დემოკრატით დასრულდა... თავისთავად ისტორიის ის ნაწილი იყო, რომელიც, როგორც ჩანს, აღარასდროს განმეორდება“.

დიტრიხ რუშიმაიერი, ეველინ სტეფენსი და ჯონ სტეფენსი (1992) თავიანთ ისტორიულ-შედარებით ანალიზში ეთანხმებიან მურს დემოკრატიზაციის პირობითობის შესახებ, ამასთან ერთად, ისინი ართულებენ მურის მაქსიმს და ამტკიცებენ, რომ კაპიტალისტური განვითარება დემოკრატიასთან დაკავშირებულია არა იმდენად ბურჟუაზიის დემოკრატიული ბუნებით, არამედ იმით, რომ ის ფუნდამენტურად ცვლის კლასობრივ სტრუქტურასა და ძალთა ბალანსს საზოგადოებაში. მათ ანალიზში ბურჟუაზია, როგორც აქტორი, ორაზროვან როლს თამაშობს: ის იბრძვის საკუთარი

წარმომადგენლობისთვის, მაგრამ, ამავდროულად, დემოკრატიული უფლებების ქვედა კლასებზე გავრცელების თანმიმდევრული მოწინააღმდეგეა. მათი მტკიცებით, დემოკრატიზაციის მთავარი მამოძრავებელი ძალა, პარადოქსულად, სწორედ კაპიტალიზმის მიერ შექმნილი „წინააღმდეგობებია“. კაპიტალიზმი, ერთი მხრივ, ასუსტებს დემოკრატიის ყველაზე შეურიგებელ ისტორიულ მტერს — მიწათმფლობელ ზედა კლასს, მეორე მხრივ კი აძლიერებს და ქმნის დემოკრატიის ყველაზე მტკიცე და თანმიმდევრულ მომხრეს — ურბანულ, ორგანიზებულ მუშათა კლასს. თუმცა, მხოლოდ მუშათა კლასი, თავისი სიძლიერის მიუხედავად, იშვიათად იყო საკმარისად ძლიერი, რომ დემოკრატია მართო მოეპოვებინა. ამიტომ გადამწყვეტი ხდება მისი ალიანსი სხვა დაქვემდებარებულ ჯგუფებთან, განსაკუთრებით კი საშუალო კლასებთან. სწორედ დაქვემდებარებული კლასების კოალიციური ბრძოლა აყენებს დემოკრატიას პოლიტიკურ დღის წესრიგში. ამრიგად, დემოკრატია არის არა კაპიტალიზმის ჰარმონიული შედეგი, არამედ „კლასობრივი ძალების შედარებითი“ პროდუქტი.

მნიშვნელოვანია იმის გააზრება, რომ მიუხედავად ამგვარი თეორიული ჩარჩოსა და სტრუქტურული ანალიზის უპირატესობისა, მის მიერ გაანალიზებული კლასებისა და ტერმინების პირდაპირი ტრანსფერირება თანამედროვე პოსტსაბჭოთა რეალობაზე არაადეკვატურია. კონკრეტული აქტორები, კლასები და მათ მიერ განვლილი „განვითარების გზები“ ხშირად სხვადასხვა ისტორიულ და სოციალურ კონტექსტებს აღწერს. თანამედროვე პერიოდში სოციალური სტრუქტურები და მათში მოქმედი აქტორები ფუნდამენტურად შეიცვალა XIX- XX საუკუნის ინდუსტრიული საზოგადოებისგან განსხვავებით. სხვა სიტყვებით, რომ ვთქვათ ჩვენ შეგვიძლია ავიღოთ მეთოდი და არა შაბლონი.

თუმცა, მიუხედავად ამ ცვლილებებისა, თავად სტრუქტურული ანალიზის ლოგიკა, მისი ინსტრუმენტული ღირებულება და მიდგომა, რომელიც მიზეზობრივ მექანიზმებზე ამახვილებს ყურადღებას, დღესაც კვლავინდებურად მაღალ რელევანტურობას ინარჩუნებს დემოკრატიზაციის არაწრფივი ტრაექტორიების გასაანალიზებლად, განსაკუთრებით კი ისეთ კონტექსტში, როგორც პოსტსაბჭოთა საქართველოა. ეს ჩარჩო გვთავაზობს მეთოდოლოგიურ სიღრმეს იმ „უხილავი ძალების“ შესასწავლად, რომლებიც დემოკრატიულ პროცესებს აყალიბებს მაშინაც კი, როდესაც მისი ტრადიციული საყრდენები არ არსებობს ან ტრანსფორმირებულია.

მაიკლ მანის “IEMP” ჩარჩო

სოციალური სტრუქტურის შესწავლა და ანალიზი გვამღებს შესაძლებლობას, გამოვავლინოთ დემოკრატიზაციის პროცესში მონაწილე სოციალური აქტორები (ჯგუფები, კლასები). თუმცა, არანაკლებ მნიშვნელოვანია იმის გარკვევა, თუ რა გზებით აღწევენ ისინი ძალაუფლებრივ პოზიციებს და როგორ ახორციელებენ ამ ძალაუფლებას. დემოკრატია ძალაუფლების განხორციელებას ეხება, შესაბამისად, ის მოიცავს არა მხოლოდ იმას, თუ ვინ მართავს, არამედ იმასაც, თუ როგორ ხდება ძალაუფლებრივი პოზიციის მოპოვება. ამდენად ძალაუფლების პრობლემა ცენტრალურია დემოკრატიზაციის პროცესის ანალიზისთვის.

ძალაუფლების მრავალი განმარტებიდან, მოვიტანთ მხოლოდ ჩვენი აზრით კომპაქტურ და ოპერაციულად ეფექტურ რამდენიმე დეფინიციას: “A-ს აქვს ძალაუფლება B-ზე იმედნად, რამდენადაც მას შეუძლია შეუძლია B-ს აიძულოს გააკეთოს ის, რასაც B სხვა შემთხვევაში არ გააკეთებდა” (Dahl, 1957, p. 202). მაქს ვებერი ძალაუფლებას განსაზღვრავს, როგორც „სოციალურ ურთიერთობებში საკუთარი ნების გატარების უნარს, წინააღმდეგობის მიუხედავად, მიუხედავად იმისა, თუ რას ეფუძნება ეს უნარი“ (Weber, 1978 ; Russell, 1938).

ამ კლასიკური განმარტებების ფონზე ჩნდება კითხვა: მაინც რას ეფუძნება ძალაუფლება, საიდან მომდინარეობს იგი? ამ კითხვაზე ერთ-ერთ ყველაზე გავლენიან პასუხს გვთავაზობს სოციოლოგი მაიკლ მანი (2012), რომელიც სოციალური ძალაუფლების ოთხ ფუნდამენტურ წყაროს გამოყოფს:

1. იდეოლოგიური ძალაუფლება : მომდინარეობს მნიშვნელობების, ნორმების, ფასეულობებისა და რიტუალების კონტროლიდან. ის აყალიბებს საერთო შეხედულებებსა და რწმენას, რაც ადამიანებს უბიძგებს, მიიღონ არსებული სოციალური წესრიგი როგორც ბუნებრივი და ლეგიტიმური. ამ ძალაუფლებას, როგორც წესი, რელიგიური, საგანმანათლებლო და მედია ინსტიტუტები ფლობენ.
2. ეკონომიკური ძალაუფლება: გამომდინარეობს წარმოების, განაწილებისა და გაცვლის საშუალებების კონტროლიდან. ის, ვინც აკონტროლებს სასიცოცხლოდ მნიშვნელოვან რესურსებს (მიწა, კაპიტალი, შრომა), ფლობს მნიშვნელოვან ბერკეტს სხვა ადამიანებზე ზემოქმედებისთვის.
3. სამხედრო (ძალისმიერი) ძალაუფლება: ეფუძნება ორგანიზებულ ფიზიკურ ძალადობას. ეს არის ძალაუფლების ყველაზე კონცენტრირებული და პირდაპირი ფორმა, რომელიც გამოიყენება თავდაცვის, დაპყრობისა და შიდა წესრიგის დამყარებისთვის.

ისტორიულად, ელიტები ხშირად სწორედ სამხედრო ძალის მონოპოლიზებით აღწევდნენ დომინირებას.

4. პოლიტიკური ძალაუფლება: დაკავშირებულია ცენტრალიზებულ და ტერიტორიულ რეგულაციასთან. ეს არის სახელმწიფოს ძალაუფლება, რომელიც კანონების შექმნისა და მათი აღსრულების გზით საზოგადოების ფუნქციონირებას უზრუნველყოფს.

ისინი ქმნიან „ურთიერთგადამფარავ ქსელებს“. ისტორიული განვითარების სხვადასხვა ეტაპზე, დომინანტურ როლს ძალაუფლების სხვადასხვა წყარო ასრულებს, რაც განაპირობებს კონკრეტული რეჟიმის ხასიათს. მაგალითად, პოლიტიკური ელიტა იყენებს იდეოლოგიას თავისი მმართველობის გასამყარებლად, ხოლო ეკონომიკური ძალაუფლება ხშირად გარდაიქმნება პოლიტიკურ გავლენად. დემოკრატიზაციის პროცესის ანალიზისთვის სწორედ ამ ქსელების და მათი ურთიერთმიმართების შესწავლა გვეხმარება იმის გაგებაში, თუ როგორ ნაწილდება და ხორციელდება ძალაუფლება რეალობაში.

გარდა ძალაუფლების წყაროებისა, მანი (2008) გვთავაზობს კიდევ ერთ, კრიტიკულად მნიშვნელოვან ჩარჩოს, რომელიც ერთმანეთისგან მიჯნავს სახელმწიფოს **დესპოტურ** (Despotic)

და **ინფრასტრუქტურულ** (Infrastructural) ძალაუფლებას:

- **დესპოტური ძალაუფლება** გულისხმობს სახელმწიფო ელიტის უნარს, მიიღოს გადაწყვეტილებები სამოქალაქო საზოგადოებასთან კონსულტაციისა და მოლაპარაკების გარეშე. ეს არის „ავტონომია საზოგადოებისგან“.

- **ინფრასტრუქტურული ძალაუფლება** კი გულისხმობს სახელმწიფოს ინსტიტუციურ შესაძლებლობას, რეალურად შეაღწიოს სამოქალაქო საზოგადოებაში და ლოგისტიკურად უზრუნველყოს პოლიტიკური გადაწყვეტილებების აღსრულება მთელ ტერიტორიაზე (მაგალითად: გადასახადების ეფექტური ამოღება, კანონის აღსრულება, საყოველთაო სტანდარტიზაცია).

ეს გამიჯვნა გვაჩვენებს მნიშვნელოვან პარადოქსს: სახელმწიფო შეიძლება იყოს დესპოტურად ძლიერი (ლიდერს შეეძლოს თვითნებური გადაწყვეტილებების მიღება), მაგრამ ინფრასტრუქტურულად სუსტი (ვერ შეძლოს ამ გადაწყვეტილებების აღსრულება). მეორე მხრივ, თანამედროვე კაპიტალისტური დემოკრატიები ხასიათდებიან დაბალი დესპოტური (ანგარიშვალდებული მთავრობა) და მაღალი ინფრასტრუქტურული ძალაუფლებით (ძლიერი ინსტიტუციური კონტროლი).

ჩვენი კვლევისთვის მანის ეს ორმაგი მიდგომა — ძალაუფლების წყაროები და დესპოტური/ინფრასტრუქტურული განზომილებები —

ქმნის მოსახერხებელ ანალიტიკურ იარაღს, რათა ავხსნათ, თუ როგორ მოხდა პოსტსაბჭოთა საქართველოში, ერთი მხრივ, ელიტების მიერ ძალაუფლების კონცენტრაცია (დესპოტიზმი) და მეორე მხრივ, სახელმწიფოს უნარების ტრანსფორმაცია (ინფრასტრუქტურული ძალაუფლება) საზოგადოებრივი კონტროლის მექანიზმების არარსებობის პირობებში.

სოციალური სტრუქტურის ტრანსფორმაცია და დემოკრატიზაცია პოსტ-საბჭოთა საქართველოში

დასავლური დემოკრატია კონკრეტული სოციალური სტრუქტურისა და ისტორიული კონფლიქტის პროდუქტია (Moore, 1966) მაგრამ რა ხდება, როდესაც ეს დემოკრატიული ფორმები გადააქვთ ისეთ კონტექსტში, სადაც ეს ისტორიული აქტორები და მათი კონფლიქტები არ არსებობდა? სწორედ ეს კითხვა დგას საქართველოს დემოკრატიზაციის პროცესთან მიმართებით.

დასავლური დემოკრატიზაციის კლასიკური მოდელი ეფუძნება ფორმულას: სოციალურ-ეკონომიკური ცვლილებები წარმოშობს ახალ, ორგანიზაციულად ძლიერ სოციალურ ჯგუფებს (კლასებს), რომლებიც იწყებენ ბრძოლას პოლიტიკური უფლებებისთვის, რათა დაიცვან საკუთარი ინტერესები - ბრძოლის ეს დინამიკა ქმნის დემოკრატიზაციის პროცესს.

დასავლეთში ბურჟუაზია ყალიბდება კაპიტალის დაგროვების პარალელურად და არისტოკრატიულ წესრიგთან შეპირისპირების ფონზე, რაც მის შედარებით დემოკრატიულ და ეკონომიკურად რაციონალურ (მას სჭირდებოდა პროგნოზირებადი, კანონზე დაფუძნებული და ბიუროკრატიულად ეფექტური სახელმწიფო) პრეფერენციებს განაპირობებს. თავად კაპიტალის დაგროვების ინდუსტრიულმა ხასიათმა წარმოშვა ახალი, მძლავრი სოციალური ძალა — მუშათა კლასი. ის, ერთი მხრივ, გარიყული იყო პოლიტიკური უფლებებისგან, მაგრამ, მეორე მხრივ, ქარხნებსა და ქალაქებში კონცენტრაციამ მას ძლიერი კოლექტიური იდენტობა ჩამოუყალიბა. ამ ახალმა კლასმა საკუთარი სტრუქტურული პოზიციის გამო დააკავშირა თავისი სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობა პოლიტიკურ უფლებებთან; დემოკრატია და საყოველთაო საარჩევნო უფლება მისთვის იქცა არა აბსტრაქტულ იდეალად, არამედ საკუთარი მატერიალური ინტერესების დაცვისა და ცხოვრების პირობების გაუმჯობესების მთავარ ინსტრუმენტად.

რადიკალურად განსხვავებულ ვითარებაში იწყება დემოკრატიზაციის პროცესი საბჭოთა კავშირის დაშლის პერიოდში, მათ შორის საქართველოში. კაპიტალიზმი, როგორც მთავარი განმაპირობებელი

სოციალური დაყოფისა და იერარქიული სოციალური სტრუქტურისა ამ სივრცეში არ არსებობდა (Eyal et al., 1998). შეიძლება ითქვას, რომ პოსტ-საბჭოთა ვითარებაში პროცესი ერთგვარად პირიქით მიდის: თუ დასავლეთში ახალმა ეკონომიკურმა წესრიგმა და შესაბამისმა ეკონომიკურმა ზრდამ განაპირობა ახალი სოციალური ძალების რესურსების მობილიზება, მათი მისწრაფება პოლიტიკური ძალაუფლებისკენ და წარმოშვა შესაბამისი საზოგადოებრივი კონფლიქტები, რომლებიც, საბოლოოდ, გარკვეული კონფიგურაციის პირობებში დემოკრატიამდე მიდის (Rustow, 1970), საქართველოში ასეთი შიდა კონფლიქტები არ არსებობდა.

საბჭოთა კავშირში პოლიტიკური დაპირისპირება არ ხდებოდა საზოგადოებრივი დაყოფის საფუძველზე. პოსტსაბჭოთა საქართველოში კლასიკური საზოგადოებრივი გამყოფები (cleavages) არაა მკაფიო (მათ შორის ეკონომიკური უთანასწორობა დაბალია და საკუთრების საკითხი უმნიშვნელოა) და, შესაბამისად, ის პოლიტიკურ ფორმასაც ვერ იღებს. არსებობს ერთადერთი მმართველი ნომენკლატურა (კომპარტია), რომელიც ძალაუფლების შენარჩუნებისთვის იბრძვის, მაგრამ უკიდურესი იდეოლოგიური, ეკონომიკური და სხვა სახის სისუსტის გამო ანგარიშგასაწევ ძალას აღარ წარმოადგენს.

შედეგად, პოლიტიკური უფლებები ჩნდება არა შიდა სოციალური ბრძოლის, არამედ საზოგადოებისგან გარე მიზეზების — საბჭოთა კავშირის დაშლის — გამო. ამ უფლებების რეალიზაციაც თავდაპირველად ძირითადად გარე მიზანზე, ანუ დამოუკიდებლობის მოპოვებაზეა მიმართული. ამრიგად, სოციალური ბრძოლა პოლიტიკური უფლებებისთვის ჩვენს შემთხვევაში არ არსებობდა. პირიქით, პოლიტიკური უფლებების მოპოვებამ წინ გაუსწრო სოციალურ სტრუქტურირებას.

ახალი საბაზრო წესრიგის პირობებში სოციალური სტრუქტურის ცვლილება იწყება, თუმცა ეს პროცესი უკვე არსებული პოლიტიკური უფლებების ფონზე მიმდინარეობს. ამის გამო, ადამიანების ცნობიერებაში პოლიტიკური და სოციალურ-ეკონომიკური უფლებები ერთმანეთს არ უკავშირდება. ამ სოციალურ-ეკონომიკური სტრუქტურის ცვლილებების მთავარი წყაროებია პრივატიზაცია და დეინდუსტრიალიზაცია.

ეს პროცესები წარმოშობს:

- მოსახლეობის ფენებს, რომლებიც განიცდიან პრეკარიზაციას;
- უმუშევართა უზარმაზარ არმიას;

კლასიკური მუშათა კლასის პრეკარიტად ქცევის შედეგად ამ ჯგუფების თვითიდენტიფიკაცია არ იძლევა მათ სოციალურ ჯგუფებად გაერთიანების საშუალებას (როგორცაა კლასიკური მუშათა კლასი, ფერმერები, ბიზნეს და სავაჭრო გაერთიანებები). შედეგად, ხდება საზოგადოების ატომიზაცია, სადაც ინდივიდები გაუცხოებულები არიან როგორც საკუთარი ეკონომიკური საქმიანობისგან, ისე ერთმანეთისგან. მიუხედავად იმისა, რომ სოციალური უთანასწორობა მნიშვნელოვნად იზრდება, ამ განსხვავების გაცნობიერება დაბალია, რაც არ ქმნის საფუძველს ჯგუფური იდენტობებისა და პოლიტიკური მობილიზაციისთვის (ქორჟოლიანი, დუდუჩავა 2021).. ისტორიულად სპეციფიურია, საშუალო ფენის როლიც, რომელიც ძირითადად კულტურული ინგელიგენციისგან შედგება. არ გაააჩნია მკაფიო ეკონომიკური საყრდენი და სოციალური განზომილება, უმეტესად კულტურულ სივრცეში ფუნქციონირებს და მკაფიო და ჰომოგენურ, სოციალურ საფუძველს ვერ პოულობს (ქორჟოლიანი, 1992).

სტრუქტურული თვალსაზრისით, ახალ ეკონომიკურ ელიტას არ გააჩნდა ისტორიული მოტივაცია, შეექმნა რაციონალური სახელმწიფო ბიუროკრატია, რადგან ის არ იყო დაპირისპირებული რაიმე ისეთ სოციალურ კლასთან (მაგ. ძველ მიწათმფლობელ არისტოკრატასთან), რომლის დასამარცხებლადაც კანონის უზენაესობა დასჭირდებოდა. შესაბამისად, სახელმწიფოს შედარებითი ავტონომიის ნაცვლად, ამ ჯგუფის მთავარი პრეფერენცია გახდა სახელმწიფოს არაფორმალური დაქვემდებარება. ძალაუფლება გამოიყენებოდა არა განვითარების, არამედ „მტაცებლური“ (predatory) მიზნებისთვის — საბჭოთა მემკვიდრეობის პრივატიზაციისა და რესურსების მონოპოლიზაციისთვის.

მეორეს მხრივ, პოსტსაბჭოთა პერიოდში მუშათა კლასმა განიცადა არა გაძლიერება, არამედ ატომიზაცია და დაშლა. დეინდუსტრიალიზაციამ გაანადგურა ის ეკონომიკური საფუძველი, რომელიც ქმნის პოტენციას კოლექტიური იდენტობის განვითარებისთვის. ამასთან ერთად, დასავლეთისგან განსხვავებით, საბჭოთა ინდუსტრიალიზაცია ფუნქციონირებდა რეჟიმში რომელიც ეფექტურად კრძალავდა ნებისმიერ ავტონომიურ მუშათა მოძრაობას. შესაბამისად, საბჭოთა მუშათა კლასს არასდროს ჩამოუყალიბებია დამოუკიდებელი პოლიტიკური იდენტობა და ბრძოლის გამოცდილება. ყოფილი მუშები, ინჟინრები და სხვადასხვა სექტორის სპეციალისტები რომლებიც უმუშევრად დარჩნენ ან არაფორმალურ, ინდივიდუალურ ეკონომიკურ საქმიანობაზე გადავიდნენ, ვეღარ აკავშირებდნენ თავიანთ სოციალურ მდგომარეობას კოლექტიურ პოლიტიკურ ქმედებასთან. დემოკრატიული უფლებები, რომლებიც მათ "ზემოდან"

მიეცათ საბჭოთა კავშირის დაშლის შედეგად, აღიქმებოდა არა როგორც ბრძოლის იარაღი, არამედ როგორც აბსტრაქტული ღირებულება, რომელსაც მათ ყოველდღიურ ყოფასთან პირდაპირი კავშირში არ ჰქონდა.

ძალაუფლების კონფიგურაცია და დემოკრატიზაცია პოსტ-საბჭოთა საქართველოში

ამგვარად, ისტორიულ-სტრუქტურული ანალიზი ადასტურებს, რომ პოსტსაბჭოთა საქართველოში არ შეიქმნა დასავლეთის მსგავსი, მკაფიო სოციალური და ეკონომიკური ინტერესების გარშემო გაერთიანებული პოლიტიკური აქტორები. ნაცვლად ამისა, ძალაუფლებისთვის ბრძოლა მიმდინარეობს მკაფიო სოციალური საფუძვლის არმქონე ელიტურ ჯგუფებს შორის.

სწორედ ამიტომ, იმის შესასწავლად, თუ რა დინამიკით ვითარდება დემოკრატიზაცია ამ პირობებში, აუცილებელია, რომ სტრუქტურულ ანალიზს მივუერთოთ მაიკლ მანის IEMP (იდეოლოგიური, ეკონომიკური, სამხედრო, პოლიტიკური) ჩარჩო. ეს ჩარჩო არ მოითხოვს მკაცრ რედუქციას, რომელიმე ტიპის ძალაუფლების პირველადობის (მაგალითად, ეკონომიკურის პირველადობას), მკაცრად სტრუქტურირებული სამოქალაქო საზოგადოების წინასწარ არსებობას და ამიტომ იძლევა ადეკვატურ ანალიტიკურ შესაძლებლობას, შევისწავლოთ ძალაუფლების წყაროების ქსელები და მათი ურთიერთ მიმართება, რამდენადაც ისინი ფაქტობრივად არსებობენ ყველა ტიპის საზოგადოებაში.

საქართველოში დამოუკიდებლობის გარიჟრაჟზე საზოგადოება ეკონომიკური რესურსების თვალსაზრისით მეტწილად ჰომოგენური იყო. მოსახლეობის უდიდესი ნაწილი მნიშვნელოვან ქონებას არ ფლობდა, ხოლო სახელმწიფოდან მომდინარე შემოსავლების შეწყვეტამ თითქმის ყველა მოქალაქეზე თანაბრად მძიმედ იმოქმედა. შესაბამისად, მსხვილ სოციალურ ჯგუფებს შორის განსხვავებებს ეკონომიკური ძალაუფლების სფეროში 90-იანი წლების მეორე ნახევრამდე განმსაზღვრელი მნიშვნელობა არ შეუქმნია.

ამ პირობებმა განსაზღვრა ის რომ ძალაუფლებისთვის ბრძოლა პოსტ-საბჭოთა ვითარებაში არა მყარ სოციალურ ნიადაგზე ჩამოყალიბებულ ჯგუფებს, კლასებს არამედ სხვადასხვა არამკაფიო სოციალური განზომილების მქონე პოლიტიკურ დაჯგუფებებს შორის მიმდინარეობდა, რომლებიც ძალას იდეოლოგიური, ფორმალური და არაფორმალური ეკონომიკური, სამხედრო და პოლიტიკური მექანიზმებით იხვეჭდნენ. ამავე დროს, მხედველობაში უნდა ვიქონიოთ

რომ ძალაუფლების ძველი, საბჭოთა პატერნები სრულად არ გამქრალა, თუმცა ფუნდამენტურმა ცვლილებებმა ეკონომიკაში, იდეოლოგიასა და სამხედრო სფეროში საფუძველი ჩაუყარა სრულიად განსხვავებულ ძალაუფლებრივ ინფრასტრუქტურას.

საქართველოს სახელმწიფომ გაიარა ერთგვარი გზა, რომელიც ისტორიულად ახასიათებს ძალაუფლების ორგანიზების ფორმების განვითარებას — ფრაგმენტაციიდან კონსოლიდაციის მცდელობამდე. საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ პოლიტიკური ძალაუფლება მკვეთრად სუსტდება, რაც ძალაუფლების სხვა წყაროებს აძლევს ავტონომიური მოქმედების საშუალებას.

ე.წ. “პერესტროიკის” პერიოდში, და განსაკუთრებით კი 1989 წლის 9 აპრილს შემდეგ, საქართველოში არსებული ძალაუფლების სისტემა მწვავე კრიზისში აღმოჩნდა (ისევე, როგორც მთელი სსრკ-ის მასშტაბით). აქამდე არსებული მმართველობის საბჭოთა სისტემა ხასიათდებოდა ძალაუფლების უკიდურესი კონცენტრაციითა და ცენტრალიზაციით. თუ ზემოთმოტანილ მანის სოციალური ძალაუფლების ოთხ ტიპს გავიხსენებთ, შეიძლება ითქვას, რომ ყველა ეს ტიპი ძალაუფლებისა უკიდურესად იყო ერთმანეთთან შერწყმული და ერთიანი ცენტრის მიერ კონტროლდებოდა. თუმცა ცხადია, უკვე 60-იანი წლებიდან ეს სისტემა გარკვეულ კრიზისს განიცდიდა, რომელიც 70-იან და 80-იან წლებში (ე.წ. “ზასტოი” – “უძრაობა”, “სტაგნაცია”) კიდევ უფრო გაღმავდა, მაგრამ ფორმალურ ინსტიტუციურ ფორმას ინარჩუნებდა.

ძალაუფლების სისტემის უკიდურესად დასუსტების და დეინტეგრაციური პროცესების გააქტიურების პირობებში, 1989 წლიდან ფაქტიურად საქართველოში იქმნება ერთგვარი ძალაუფლებრივი ვაკუუმი: ძველი ინსტიტუციონალური ფორმები აღარ მუშაობს, ხოლო ახალი ჯერ არ ჩამოყალიბებულა.

ამ ვითარებაში, პოლიტიკური ძალაუფლების მოპოვების უალტერნატივო გზად წარმოჩინდა ე.წ. „დემოკრატიის პროექტი“, ხელისუფლების განხორციელება ხალხის მიერ, ანუ — ხელისუფლების არჩევა ყველა მოქალაქის მიერ. “დემოკრატიის პროექტის: უალტერნატივობა განპირობებული იყო რიგი მიზეზებით: 1. სახელისუფლებო ვაკუუმის პირობებში არც ერთ ჯგუფს არ გააჩნდა იმდენად დიდი რესურსები ძალაუფლების სოციალური წყაროების რომელიმე მიმართულებით რომ ადვილად მიეღწია დომინირებას. 2. დემოკრატიის, როგორც მმართველობის ფორმის ლეგიტიმაცია საყოველთაოდ იყო აღიარებული მთელ მსოფლიოში, განსაკუთრებით კი განვითარებულ ქვეყნებში და ერთადერთ მისაღებ ფორმად მიიჩნეოდა ახალ დამოუკიდებელ ქვეყნებშიც.

საქართველოს მოსახლეობას ხელისუფლების არჩევის გამოცდილება არ ჰქონდა, მაგრამ, რასაკვირველია, არსებობდა ხელისუფლების განხორციელებისა და მისი კონფიგურაციის გამოცდილება. ხელისუფლების ორგანიზების ეს ჩვეული მოდელი, როგორც ჰორიზონტალური, ისე ვერტიკალური დანაწილების თვალსაზრისით, ზეკონცენტრირებული და ზეცენტრალიზებული იყო და საზოგადოებრივ ცნობიერებაში დომინირებდა. შეიძლება ითქვას, რომ „დემოკრატიის პროექტმა“ საქართველოში შემდეგი სახე მიიღო: ხალხი (დემოსი) საყოველთაო არჩევნების გზით ცენტრალურ ხელისუფლებას გადასცემს ზეკონცენტრირებულ და ზეცენტრალიზებულ ძალაუფლებას (ჟორჟოლიანი, 2012).

მართალია ხელისუფლების კონფიგურაციის ეს პატერნი საზოგადოებრივ ცნობიერებაში დომინირებდა (და დღესაც დომინირებს) მაგრამ, ხელისუფლების იმ ვაკუუმის პირობებში, რომელიც სსრკ-ის დაშლისას იქმნება, ძალაუფლების რომელი სოციალური წყაროები ქმნის შესაძლებლობას ხელისუფლების დაუფლებისა. და როგორ ვითარდება ტენდენცია დამოუკიდებლობიდან დღემდე?

ქვემოთ ჩვენ შევეცადეთ ცხრილის სახით წარმოგვედგინა ძალაუფლების სოციალური წყაროების მნიშვნელობა მის საერთო კონფიგურაციაში პოსტსაბჭოთა საქართველოს სხვადასხვა პერიოდში, სხვადასხვა ხელისუფლების დროს. ცხადია, რომ ჩვენს მიერ წარმოდგენილი სურათი ძალაუფლების ცალკეული წყაროების დომინირებისა და მათი ურთიერთმიმართების შესახებ უფრო ვრცელ და დეტალურ აღწერას და არგუმენტაციას საჭიროებს, რაც სპეციალურ კვლევას მოითხოვს. მაგრამ ჩვენი სტატიის მთავარ მიზანს წარმოადგენს ვაჩვენოთ მაიკლ მანის თეორიისა და მეთოდოლოგიის მნიშვნელობა პოსტ საბჭოთა საქართველოში ძალაუფლების ფუნქციონირებისა და კონფიგურაციის ანალიზისთვის. ამ თვალსაზრისით, ვფიქრობთ, ჩვენს მიერ წარმოდგენილი ცალკეული პერიოდის მახასიათებლები სავსებით ლეგიტიმურ წინასწარ მოაზრებად, ჰიპოთეზად შეიძლება მივიჩნიოთ.

	<u>იდეოლოგიური</u>	<u>ეკონომიკური</u>	<u>სამხედრო</u>	<u>პოლიტიკური</u>	<u>ინფრასტრუქტურული</u>	<u>დესპოტური</u>
მრგვალი მაგიდა	+-	--	--	+ -	--	++
interregnum	--	--	++	+ -	--	--
მოქალაქეთა კავშირი	--	-+	-+	++	-+	-+
ნაციონალური მოძრაობა	++	-+	++	+ +	++	++
ქართული ოცნება	-+	++	++	-+	-+	++
<i>შენიშვნა: გრადაციის სამი დონე: ++ ძლიერი; -- სუსტი; +- საშუალო</i>						

კოლაფსი და იდეოლოგიური ძალაუფლების აღზევება: „მრგვალი მაგიდა“

სხვა პოსტსოციალისტური ქვეყნებისგან განსხვავებით, საქართველოს კომუნისტურმა პარტიამ ვერ შეძლო რეფორმირება. იდეოლოგიურ სფეროში ძალაუფლების დაკარგვასთან ერთად მან კონტროლი დაკარგა სხვა სფეროებზეც. საბჭოთა სისტემის სრული დელეგიტიმაციის პირობებში ძალაუფლების ყველა წყარო უკიდურესად დასუსტდა და დაინგრა. ამ ვაკუუმში, სადაც პოლიტიკური, სამხედრო და ეკონომიკური სტრუქტურები დეზინტეგრირებული იყო, მთავარ სამოქმედო ასპარეზად იდეოლოგიის სფერო იქცა (Jones, 2013, pp. 34-37).

„მრგვალი მაგიდის“ წარმატება იდეოლოგიურ დომინირებას ეფუძნებოდა. მისი იდეოლოგიის შინაარსი მარტივი და მობილიზაციისთვის ეფექტური იყო: ეროვნული დამოუკიდებლობა და ნაციონალიზმი. თუმცა, ზვიად გამსახურდიას პოლიტიკური ძალაუფლება ვეღარ აკონტროლებდა სამხედრო ძალაუფლებას. შეიარაღებული ფორმირებები (მაგალითად, „გვარდია“, რომელიც 1991 წლის აგვისტოდან დამოუკიდებელ აქტორად იქცა) თანდათან ავტონომიურ ძალად ყალიბდებოდნენ.

მანის კრიტერიუმებით, ამ ხელისუფლების ამბიცია ხასიათდებოდა მაღალი დესპოტური ძალაუფლებით. მრგვალი მაგიდის ხელისუფლება მისწრაფოდა გადაწყვეტილებების მიღების სრული ავტონომიისკენ და არ ცნობდა კომპრომისს ოპონენტებთან. თუმცა, ეს ამბიცია მოკლებული იყო ყოველგვარ საფუძველს ინფრასტრუქტურული ძალაუფლების კუთხით (Jones, 2013, p. 67). საბჭოთა ბიუროკრატის რღვევის პირობებში, ცენტრს არ ჰქონდა უნარი, ფიზიკურად აღესრულებინა თავისი ნება, აეკრიფა გადასახადები ან ემართა პროცესები პერიფერიებში. მაღალი დესპოტური პრეტენზიისა და ნულოვანი ინფრასტრუქტურული უნარის კონფლიქტმა გარდაუვალი კრაზი გამოიწვია.

6.2 Interregnum-ის პერიოდი: სამხედრო ძალაუფლების დომინირება

მრგვალი მაგიდის რეჟიმის დამხობის შემდეგ დაიწყო ე.წ. Interregnum-ის, პერიოდი რომელსაც სამხედრო საბჭოს მმართველობა ახასიათებდა. ამ პერიოდში დომინანტური იყო შიშველი სამხედრო ძალაუფლება — შეიარაღებული დაჯგუფებები („გვარდია“, „მხედრიონი“) დე ფაქტო მმართველებად იქცნენ. ამავე დროს, პოლიტიკური შემადგენელი სუსტი იყო, ეკონომიკა – ფრაგმენტირებული და პრაქტიკულად უკონტროლო.

თუმცა, „შიშველი“ სამხედრო ძალაუფლება, ბიუროკრატიული აპარატისა და ეკონომიკური რესურსების გარეშე, მდგრად პოლიტიკურ მმართველობად (სახელმწიფოდ) ვერ გარდაიქმნებოდა. სამხედრო ჯგუფებისთვის სახელმწიფო გახდა არა მიზანი, არამედ საკუთარი ფუნქციონირებისა და რესურსებით უზრუნველყოფის აუცილებელი ინსტრუმენტი. სწორედ ამ ლოგიკამ უზრუნველყო ედუარდ შევარდნაძის მოსვლა ხელისუფლებაში — სამხედრო ძალაუფლებას სჭირდებოდა პოლიტიკური ლეგიტიმაცია და ორგანიზაციული ფორმა (Driscoll, 2015).

მრგვალი მაგიდის დამხობის შემდეგ, როდესაც სამხედრო ძალაუფლება გახდა ერთადერთი გადამწყვეტი ფაქტორი. შეიარაღებული დაჯგუფებები („გვარდია“, „მხედრიონი“) ფლობდნენ ძალადობის მონოპოლიას, თუმცა ეს არ იყო სახელმწიფოს ძალაუფლება. შესაბამისად, ჩვენ ცხრილში მივუთითებთ, რომ დესპოტური ძალაუფლება (როგორც სახელმწიფო ელიტის ატრიბუტი) იყო უკიდურესად დაბალი, რადგან ერთიანი სახელმწიფო ინსტიტუტი, ფაქტობრივად, არ არსებობდა. არსებობდა „შიშველი ძალადობა“ და არა “ლეგიტიმური ძალადობა” (ვებერისეული გაგებით) ინფრასტრუქტურული ძალაუფლებაც, ბუნებრივია, სრულ კოლაფსში იმყოფებოდა.

6.3 სახელმწიფოს აღდგენა: პოლიტიკური ძალაუფლების კონსოლიდაცია

ედუარდ შევარდნაძის მოსვლასთან ერთად ვითარება შეიცვალა — წინა პერიოდის ქაოსური ძალადობა ჩაანაცვლა პოლიტიკურმა პროცესმა. როგორც ცხრილი აჩვენებს, ეს იყო ეტაპი, სადაც პოლიტიკური ძალაუფლება დომინანტური გახდა. მან შეძლო კონტროლის დამყარება დამოუკიდებელ სამხედრო დაჯგუფებებზე (ჯერ თენგიზ კიტოვანის გვარდიის, შემდეგ „მხედრიონის“ განეიტრალება) და 1995 წლისთვის მოახდინა ძალისმიერი რესურსების მეტ-ნაკლები მონოპოლიზება სახელმწიფოს გარეთ არსებული ელემენტების მასში ინტეგრაციის, დანაწევრების თუ აღკვეთის მექანიზმების მეშვეობით (Driscoll, 2015, p. 160)

თუმცა, პოლიტიკური სტაბილიზაციის მიუხედავად, სახელმწიფო რჩებოდა სუსტი ინსტიტუციური თვალსაზრისით. რესურსების სიმწირის პირობებში ჩამოყალიბდა არაფორმალური მმართველობის მოდელი, რაც მანის მიხედვით, ინფრასტრუქტურული ძალაუფლების სისუსტეს ნიშნავდა. განსაკუთრებით საბაჟო-საგადასახადო სფეროსა და ადგილობრივ მმართველობაში, ბიუროკრატები (მაგ. საპოლიციო

პატრული, საბაჟოს მოხელე, გამგებელი) რესურსებს თითქმის ავტონომიურად მოიპოვებდნენ (ე.წ. „თვითდაფინანსების“ რეჟიმში), ნაცვლად იმისა, რომ ისინი ცენტრალიზებულ ბიუჯეტში შეგროვებულიყო. შევარდნაძის მმართველობის პერიოდში ინფრასტრუქტურული ძალაუფლების სისუსტე კონკრეტულ ციფრებშიც გამოიხატა: 1995 წელს გადასახადების შეფარდება მშპ-სთან მსოფლიოში ერთ-ერთი უ დაბლესი, 5% იყო, 2003 წლისთვის კი მხოლოდ 12%-ს მიაღწია, რაც თანამედროვე საზოგადოებებში ვერ უზრუნველყოფს გამართული სახელმწიფო სერვისების მიწოდებას (Jones, 2013, p. 192). ეკონომიკური სისუსტე და სოციალური უთანასწორობის საფუძვლები ემპირიულადაც თვალსაჩინოა: 1990-1993 წლებში მშპ წლიურად დაახლოებით 30%-ით მცირდებოდა, ხოლო 1995 წლისთვის საერთო წარმოება 1990 წელთან შედარებით 78%-ით შემცირდა (Shergelashvili & Tokmazishvili, 2012). ამ პერიოდში მოსახლეობის უდიდესი ნაწილის მსყიდველობითი უნარი კატასტროფულად დაეცა — 1994 წელს საშუალო ხელფასი 1.5 აშშ დოლარის ეკვივალენტი იყო (Asatiani, 2009). ამასთან, მასობრივი ვაუჩერიზაციის სქემის შედეგად, მოსახლეობის მხოლოდ 1%-მა მიიღო ხელმისაწვდომი ვაუჩერების 70%, რაც თავიდანვე განსაზღვრავდა ქონებრივი უთანასწორობის უკიდურესად მაღალ დონეს (Archvadze, 2002). 2003 წლისთვის კი ჩრდილოვანი ეკონომიკის წილმა მშპ-ში 67%-ს მიაღწია (Schneider, 2006).

ასეთ პირობებში სახელმწიფოს უნარი, განეხორციელებინა სუვერენული უფლებამოსილებები, მინიმუმამდე იყო დაყვანილი. ცენტრალური ხელისუფლება ამას ეგუებოდა, რადგან სხვაგვარად მმართველობის განხორციელება შეუძლებელი იყო. სწორედ ამ „შეგუების“ პოლიტიკამ განაპირობა ცენტრის დესპოტური ძალაუფლების შეზღუდულობა : სახელმწიფოს მეთაურს არ გააჩნდა რეალური ავტონომია და იძულებული იყო, მუდმივ კომპრომისზე წასულიყო კორუმპირებულ ბიუროკრატიასთან და სხვადასხვა ელიტებთან.

სწორედ ეს სისტემა იქცა კაპიტალის პირველადი დაგროვების მთავარ გზად. არაფორმალურად, ბიუროკრატიაში ყოფნით მოპოვებული რესურსები შემდგომში იქცა წარმატების საწინდრად უკვე ფორმალურ ეკონომიკაში, რამაც ეკონომიკური ძალაუფლების წყაროს ნელ-ნელა გაძლიერებას დაუდო სათავე. ამ პერიოდში ძალაუფლების იდეოლოგიური დაფუძნება სუსტია - ზოგადი ცნება „დემოკრატია“ უფრო წინა რეჟიმთან დაპირისპირების სიმბოლოა, ვიდრე რაიმე კონკრეტული იდეის გარშემო საზოგადოების მობილიზების საშუალება.

6.4 ძალაუფლების კონცენტრაცია და ცენტრალიზაცია: „ნაციონალური მოძრაობა“

„ნაციონალური მოძრაობის“ ხელისუფლებაში მოსვლამ წინა პერიოდის ტენდენციების ერთგვარი კონსოლიდაცია და ფორმალიზაცია მოახდინა. ეს არის ერთადერთი პერიოდი ჩვენს უახლეს ისტორიაში, როდესაც დაფიქსირდა ე.წ. „ინფრასტრუქტურული ნახტომი“. ხელისუფლებამ ეფექტურად შეძლო სახელმწიფოს მიერ საზოგადოებრივ ცხოვრებაში ლოგისტიკური შეღწევა): პატრულის, საჯარო რეესტრისა და ცენტრალიზებული საგადასახადო სისტემის მეშვეობით, სახელმწიფომ ისწავლა „დანახვა“ და კონტროლი“. მაგალითისთვის, 2003 წლიდან 2009 წლამდე საგადასახადო შემოსულობების ფარდობა მშპ-თან 12%-იდან 24%-ამდე გაიზარდა. ამავდროულად, პოლიტიკური, ძალისმიერი და ეკონომიკური ძალაუფლების შერწყმით, მაიკლ მანის ტერმინებით რომ ვთქვათ, ეს მაღალი ინფრასტრუქტურული შესაძლებლობები მიემართა დესპოტური ძალაუფლების გასაძლიერებლად. ხელისუფლება იღებდა სწრაფ და რადიკალურ გადაწყვეტილებებს სამოქალაქო ჯგუფებთან კონსულტაციის გარეშე². ნეოლიბერალური რესტრუქტურის პირობებში მიღწეულ ეკონომიკურ ზრდას მოსახლეობის უმრავლესობისთვის სოციალური მდგომარეობა არ გაუმჯობესებია. ოფიციალური სტატისტიკით, უმუშევრობა, რომელიც 2003 წელს 13.9%-ს შეადგენდა, 2007 წლისთვის 17%-მდე, ხოლო 2011 წლისთვის 27%-მდე გაიზარდა. ამავე პერიოდში სიღარიბის მაჩვენებელი უცვლელი, 34% დარჩა (Khelaia & Chivadze, 2020). ამის პარალელურად, დესპოტური ძალაუფლების გაძლიერება და „ნულოვანი ტოლერანტობის“ პოლიტიკა პირდაპირ აისახა სადამსჯელო სტატისტიკაზე: თუ 2004 წელს პატიმართა რაოდენობა 7,867-ს შეადგენდა, 2011 წლისთვის ეს რიცხვი 24,114-მდე გაიზარდა (Slade et al., 2015), რითაც საქართველო პატიმართა რიცხოვნობით ერთ-ერთ მოწინავე ადგილზე აღმოჩნდა ევროპაში

საკავშირი-ბენდუქიდის რეფორმებით მოხდა არსებული ეკონომიკური წესრიგის ინსტიტუციონალიზაცია, რამაც ერთი მხრივ, გაზარდა ეკონომიკური უთანასწორობა, ხოლო მეორე მხრივ, გაზარდა ბიუროკრატისა და მასთან დაკავშირებული ჯგუფების (მათ შორის, სამოქალაქო სექტორიდან) გავლენა და შემოსავლები. იდეოლოგიურ ველზე ძალაუფლება მნიშვნელოვნად გაძლიერდა : გამოიკვეთა „პროდასავლურობა“, რომელიც ნეოლიბერალური იდეოლოგიის ხელისუფლების საჭიროებებზე მორგებულ ვერსიას წარმოადგენდა. ამას დაემატა ანტიკორუფციული ნარატივი და ნაციონალიზმის

² იხ. გრაფიკი 1. 2006-2012 წლები.

ტრანსფორმაცია, რომელიც გარე მტრის, რუსეთის წინააღმდეგ შიდა მობილიზაციის იარაღად იქცა .

6.5 ეკონომიკური და პოლიტიკური ძალაუფლების სინთეზი: „ქართული ოცნება“

„ქართული ოცნების“ პერიოდში დომინანტური წყარო იცვლება — პირველ ადგილზე გამოდის ეკონომიკური ძალაუფლება. სახელმწიფო პოლიტიკური მიზნებისთვის აქტიურად იყენებს არა მხოლოდ საბიუჯეტო, არამედ კერძო ეკონომიკურ რესურსებსაც (მაგალთად, ფონდი „ქართუს“ მიერ განხორციელებული პროგრამები).

დესპოტური ძალაუფლების ტრექტორია ამ პერიოდში ცვალებადია: საწყის ეტაპზე (კოალიციური მმართველობა და კოჰაბიტაცია), მმართველი ძალის დესპოტური ძალაუფლება დაბალი იყო, რადგან გადაწყვეტილებები მოითხოვდა მრავალმხრივ შეთანხმებას. თუმცა, ძალაუფლების კონსოლიდაციასთან ერთად, დესპოტური ძალაუფლება მკვეთრად გაიზარდა და გადაწყვეტილებების მიღება ჩაიკეტა ვიწრო ელიტურ წრეში³.

ამ არაფორმალურმა საინტერესო გავლენა იქონია ინფრასტრუქტურულ ძალაუფლებაზე. „ნაციონალური მოძრაობის“ პერიოდთან შედარებით, სახელმწიფოს ფორმალური ინსტიტუციური შესაძლებლობები შესუსტდა , რადგან ფორმალური ბიუროკრატია ხშირად ემორჩილება არა კანონს ან პროცედურას, არამედ პარტიულ ვერტიკალს და არაფორმალურ მმართველობას.

ძალისმიერი სფერო სრულად კონტროლდება, თუმცა იდეოლოგიური შემადგენელი კვლავ სუსტი და ეკლექტურია თუმცა გაძლიერების მკვეთრი ტენდენციით. მიუხედავად იმისა, რომ ხელისუფლებამ ძალაუფლების თითქმის სრული კონცენტრაცია მოახდინა, საჯარო სივრცეში რჩება ადგილი იდეოლოგიური დისკუსიებისთვის, რასაც სხვადასხვა პოლიტიკური და საზოგადოებრივი ჯგუფი წარმართავს.

სოციალური სტრუქტურისა და ძალაუფლების სოციალური წყაროების ურთიერთმიმართება და დემოკრატიზაციის პროცესი

დასავლური დემოკრატიზაციის პროცესის საფუძველზე შეგვიძლია გამოვკვეთოთ შემდგომი თეორიული მოსაზრებები: სოციალური სტრუქტურა გარკვეულ ურთიერთმიმართებაშია ძალაუფლების ტიპების სიძლიერე/სისუსტესთან და მათ შესაძლებლობებთან მოიპოვონ

³ იხილეთ, 2012-2024 წლების დემოკრატიის ინდექსების დინამიკა გრაფიკზე 1.

დომინანტური პოზიცია. მაგალითად, მაღალი ეკონომიკური უთანასწორობის და იერარქიული სოციალური სტრუქტურის პირობებში მაღალი კლასების (ელიტების) ეკონომიკური და პოლიტიკური ძალაუფლება დომინირებს. თუმცა დამაბულობის ზრდისა და წინააღმდეგობების ესკალაციის პირობებში იზრდება რადიკალიზაცია და შეიძლება მივიდეს შეურიგებელ დაპირისპირებამდე. ამავე დროს მკაფიო სოციალური იდენტობის არსებობამ შესაძლოა გაზარდოს დაქვემდებარებული პოლიტიკური ჯგუფების პოლიტიკური ძალაუფლების პოტენციალი. მაგალითად, საარჩევნო უფლებების გამასიურებასთან ერთად მუშათა კლასისა და სხვა დაქვემდებარებული ჯგუფების პოლიტიკური პოტენციალი იზრდება. ამ ვითარებაში ქვემდგომი კლასის რაოდენობრივი სიმრავლე ახდენს ეკონომიკური სისუსტის კომპენსირებას: მათი პოლიტიკური ძალაუფლების და მაღალი კლასების ეკონომიკური ძალაუფლების ურთიერთ მიმართება იცვლება: პოლიტიკური ძალაუფლება ძლიერდება და შესაძლოა დომინირებას მიაღწიოს.

პოს-საბჭოთა საქართველოში საზოგადოების ტრადიციული დასავლური გამყოფების მკაფიო გამოვლინებას ვერ ვხედავთ : საზოგადოება არაა იერარქიზებული სოციალური სტატუსების მიხედვით (არისტოკრატია, მესამე წოდება, გლეხობა და ა.შ.) და არც სოციალურ ეკონომიკური კლასებია ჩამოყალიბებული, რაც დამახასიათებელი იყო დასავლური კაპიტალისტური საზოგადოებისათვის (მუშათა კლასი, კაპიტალისტების კლასი...). საქართველოში განვითარებული სოციალური და ეკონომიკური პროცესების შედეგად თანადათანობით იზრდება სოციო-ეკონომიკური უთანასწორობა, რომელიც არაა დაკავშირებული სტატუსებთან ან კლასობრივ დაყოფასთან. მაგრამ, უთანასწორობის მზარდი ტენდენცია, არ წარმოშობს დასავლეთისთვის დამახასიათებელ კოლექტიური იდენტობის ცნობიერებებს და ვერ უზრუნველყოფს მობილიზაციის საკმარის სტიმულებს.

მაღალი უთანასწორობის (ეკონომიკური და სტატუსური) სტრუქტურის პირობებში შედარებათ ადვილად არის შესაძლებელი იდეოლოგიური (საზოგადოებრივი აზრის) ძალის როლი ზრდა. იდეოლოგიური დონმირების გაძლიერება სათანადო პირობებში (პოლიტიკური უფლებების მქონეთა რაოდენობრივი ზრდა, მაგალითად საარჩევნო ხმის და სხვა უფლებების) იწვევს პოლიტიკური ძალაუფლების მოპოვების პოტენციალის ზრდას, რის მაგალითადაც შეიძლება განვიხილოთ მრგვალი მაგიდის დომინირება დამოუკიდებლობის საწყის პერიოდებში. მაგრამ, თუ პოლიტიკური ძალაუფლების ეფექტური ინსტიტუციონალიზაცია ვერ ხერხდება, ეს იდეოლოგიური ძალაუფლების შესუსტებას გამოიწვევს. ასევე, ვერ მოხერხდება

ეკონომიკური რესურსების მობილიზება და ეკონომიკურ ძალაუფლების პოტენციალის ზრდა.

სოციალურ ეკონომიკური უთანასწორობის თანდათანობითი ზრდა, რომელსაც პოსტ-საბჭოთა საქართველოში ვაკვირდებით ხელს უწყობს ეკონომიკური რესურსების მობილიზებას ვიწრო ელიტური ჯგუფებში და ზრდის ეკონომიკური ძალაუფლების მნიშვნელობას სხვა სოციალური ძალაუფლების წყაროებთან შედარებით. ამავე დროს, ამ ჯგუფების ეკონომიკური ძალაუფლების ზრდა და შენარჩუნების სტიმული, უბიძგებს მათ ძალაუფლების სხვა წყაროების დაუფლებისკენ. ეს ეხება როგორც იდეოლოგიურ (საზოგადოებრივი აზრის ძალაუფლება), ასევე პოლიტიკურ ძალაუფლებას.

წინა პარაგრაფებში ჩატარებული ანალიზი გვაჩვენებს, რომ არსებული სოციალური სტრუქტურა არ ქმნის (და ქმნიდა) საფუძველს ტრადიციული (ევროპული) პროცესების რეალიზებისთვის. საქართველოს პოლიტიკა არასდროს ყოფილა სტრუქტურირებული სტაბილური, ორგანიზებული სოციალური ინტერესების წარმომადგენლობის გარშემო.

თანმედროვე საქართველოში, არსებული სოციალური სტრუქტურა და ძალაუფლების კონფიგურაცია უაღრესად შეზღუდულ შესაძლებლობებს ტოვებს დემოკრატიზაციის ტრადიციული დასავლური დინამიკის განვითარებისა და შემდგომი პროგრესისთვის. ძალაუფლების წყაროები და შესაბამისი რესურსები, პრაქტიკულად მონოპოლიზებულია ვიწრო ელიტური ჯგუფების (როგორც მთავრობის ასე ოპოზიციის) მიერ. მოქალაქეთა უდიდეს ნაწილს არ აქვს წვდომა არც ეკონომიკურ არც იდეოლოგიურ და არც ძალისმიერ რესურსებთან. ამ ვითარებაში ერთადერთ ინსტრუმენტად, რომლის მეშვეობითაც მოქალაქეებს შეუძლიათ გავლენა მოახდინონ მიმდინარე საზოგადოებრივ-პოლიტიკურ პროცესებზე, რჩება მათი პოლიტიკური ძალაუფლება - ანუ, თითოეული მოქალაქის ხმა არჩევნებში მონაწილეობებისას.

დემოკრატია არ არის ფიქსირებული მოდელი. საქართველოსთვის მისი შექმნა მოითხოვს არა იმიტაციას, არამედ ინოვაციას — იმ პოლიტიკური ფორმების შექმნას, რომლებიც საყრდენს ჩვენსავე უნიკალურ ისტორიულ და სოციალურ რეალობაში იპოვის. მხოლოდ ამგვარი მიდგომა იქნება მიმართული პოლიტიკური სისტემის განახლებისა და თანამედროვე სოციალური რეალობის შესაბამისი ეფექტური და სტაბილური მმართველობის ჩამოსაყალიბებისკენ.

Tornike Chivadze

PhD Student

Ivane Javakhishvili Tbilisi State University

Gia Zhorzholiani

Professor

Ivane Javakhishvili Tbilisi State University

Abstract

The present article examines the social structure, mechanisms of exercising power, and the peculiarities of the democratization process in post-Soviet Georgia. The paper argues that the chronic instability of the country's political system and the vulnerability of democratic institutions are conditioned by deep structural causes. The aim of the article is to move beyond the normative analysis dominant in the academic sphere and establish an in-depth, structural approach to studying the crisis of post-Soviet politics.

The research is grounded in the logic of the comparative historical method and integrates the historical-structural theory of democratization with Michael Mann's concept of the social sources of power. The traditional Western path of democratization is utilized as a theoretical "ideal type" and an analytical benchmark to highlight the structural distinctiveness of Georgia's development trajectory.

The analysis reveals a "historical inversion" in the Georgian democratization process, radically distinguishing it from the Western model. While the traditional European path was characterized by socio-economic structuring preceding and conditioning the struggle for political rights, in Georgia, the process was reversed: the universal granting of democratic rights (following the Soviet collapse) outpaced the corresponding socio-economic structuring. The post-Soviet period witnessed social atomization, deindustrialization, and the absence of classically organized social actors, which significantly undermined the social pillars of democracy.

The article observes the state of social sources of power (Economic, Ideological, Military, Political), their configuration, and dominance across specific periods in Georgia. Under conditions lacking social foundations for democratization, the struggle for power occurs not between groups with distinct social interests, but among elite factions. Power is acquired and maintained through the manipulation of various power sources, fostering a recurring concentration of power by elites.

The research concludes that the complexities and lack of efficacy in the democratization process are directly linked to this historical inversion and the specificities of power configurations. Addressing existing challenges requires a shift from normative discourse to in-depth analysis based on political realities. This approach facilitates the search for innovative and context-specific pathways to strengthen the democratization process—a creative endeavor, given that the historical Western path cannot be replicated in this context.

Keywords: Post-Soviet Georgia, Democratization, Social Structure, Sources of Power (IEMP), Historical Inversion, Social Atomization, Despotism and Infrastructural Power.

ბიბლიოგრაფია

Archvadze, I. (2002). *What's the color of billion?* [რა ფერისაა მილიარდი?]. Tbilisi.

Asatiani, R. (2009). *Georgia's economy: New epoch: Theory, practice, analysis (Part I)* [საქართველოს ეკონომიკა: ახალი ეპოქა: თეორია, პრაქტიკა, ანალიზი]. Tbilisi: Siakhle.

Dahl, R. A. (1957). The concept of power. *Behavioral Science*, 2(3), 201–215. <https://doi.org/10.1002/bs.3830020303>

Driscoll, J. (2015). *Warlords and coalition politics in post-Soviet states*. Cambridge: Cambridge University Press.

Eyal, G., Szelenyi, I., & Townsley, E. R. (1998). *Making capitalism without capitalists: Class formation and elite struggles in post-communist Central Europe*. London: Verso.

Halperin, M., & Heath, O. (2020). *Political science: A guide to the field*. Oxford: Oxford University Press.

Jones, S. F. (2013). *Georgia: A political history since independence*. London: I.B. Tauris.

Khelaia, N., & Chivadze, T. (2020). Making sense of Georgia's thirty years of neoliberal transformation: A Gramscian analyses of a civil society movement. *Author's Manuscript*.

Khelaia, N., & Chivadze, T. (2022). The shame movement in the context of Georgia's 30 years of transformation: A Gramscian analysis of civil society. In A. Gagyí & O. Slaček (Eds.), *The political economy of Eastern Europe 30 years into the 'transition'* (pp. 169-185). Cham: Springer.

Mair, P. (2013). *Ruling the void: The hollowing of Western democracy*. London: Verso Books.

Mann, M. (2008). Infrastructural power revisited. *Studies in Comparative International Development*, 43(3-4), 355-365.

Mann, M. (2012). *The sources of social power: Volume 4, Globalizations, 1945-2011*. Cambridge: Cambridge University Press.

Moore, B. (1966). *Social origins of dictatorship and democracy: Lord and peasant in the making of the modern world*. Boston: Beacon Press.

Offe, C. (2011). Crisis and innovation of liberal democracy: Can deliberation be institutionalised? *Sociologický časopis / Czech Sociological Review*, 47(3), 447-472.

Piketty, T. (2014). *Capital in the twenty-first century*. Cambridge, MA: Belknap Press of Harvard University Press.

Rosanvallon, P. (2008). *Counter-democracy: Politics in an age of distrust*. Cambridge: Cambridge University Press.

Rueschemeyer, D., Stephens, E. H., & Stephens, J. D. (1992). *Capitalist development and democracy*. Chicago: University of Chicago Press.

Russell, B. (1938). *Power: A new social analysis*. New York: W. W. Norton.

Rustow, D. A. (1970). Transitions to democracy: toward a dynamic model. *Comparative Politics*, 2(3), 337-363. <https://doi.org/10.2307/421307>

Schneider, F. (2006). Shadow economies and corruption all over the world: What do we really know? *Social Science Research Network*. <https://papers.ssrn.com/abstract=938369>

Shergelashvili, T., & Tokmazishvili, M. (2012). The economic transformation of Georgia in its 20 years of independence. *Discussion Paper, EI-LAT*.

Slade, G., Kachkachishvili, I., Jeiranashvili, N., & Gobronidze, N. (2015). *Crime and excessive punishment: The prevalence and causes of human rights abuse in Georgia's prisons*. Open Society Georgia Foundation.

Weber, M. (1978). *Economy and society: An outline of interpretive sociology* (G. Roth & C. Wittich, Eds.). Berkeley: University of California Press. (Original work published 1922)

Zhorzholiani, G. (2022). Erosion of democratic legitimacy: When the view does not correspond to the reality. *Environment and Society*, 6(6).

ჟორჯოლიანი, გ. (1992, 10 იანვარი). ქართული ინტელიგენცია ახალი ამოცანების წინაშე. *საქართველოს რესპუბლიკა*, გვ. 2.

ჟორჯოლიანი, გ. (2012). *ძალაუფლება და საზოგადოება საქართველოში: სტატიების კრებული*. თბილისი.

ჟორჯოლიანი, გ., & დუდუჩავა, გ. (2021). (უ)თანასწორობა – იგნორირებული პრობლემა. წიგნში: ა. აგარელი, გ. ჟორჯოლიანი, გ. დუდუჩავა, ი. არჩვაძე, & მ. მუსხელიშვილი (რედ.), *უთანასწორობა საქართველოში: სტატიების კრებული* (გვ. 0-70). თბილისი: ფრიდრიხ ებერტის ფონდი.